DOI: 10.67363/r994cc6y

George Labadze
Constitutionalist,
Young Barristers

The US Landmark Cases that Influence the World Practice

(Abstract)

KEYWORDS: Landmark Cases, Judicial Activism, Civil Rights Era, United States (USA)

Constitutional review in the United States, particularly concrete review by the Supreme Court, has sent ripples far beyond national borders. Landmark decisions continue to shape legal processes at home, influence policymaking abroad, and resonate even in Georgia. Those rulings touch on pressing public-policy concerns – freedom of speech, religious liberty, equality, slavery and its abolition, and affirmative action – and their doctrinal contours often signal likely legal ramifications elsewhere.

Many of the key cases emerged during the Civil Rights Era, when social activism exerted powerful pressure on institutions and helped propel judicial change. While courts responded to activism, they did so within constraining frameworks of precedent, institutional norms, and political context; what critics label "judicial activism" often reflected a complex interaction of social movements, legal argument, and institutional opportunity. The debates provoked in courtrooms mirrored wider societal conflicts and, at times, produced jurisprudence that other jurisdictions would later draw upon.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Racial segregation's legal foundations and subsequent dismantling provide a striking example. The dismantling of segregation laws not only transformed American society but also offered interpretive frameworks that judges, scholars, and policymakers abroad considered and, in some cases, adapted. The United Kingdom's Supreme Court, among others, has produced judgments that echo US reasoning, illustrating mechanisms of transnational diffusion such as judicial citation, scholarly exchange, and policy emulation.

Tracing these pathways of influence reveals both the reach and the limits of American judicial doctrine. US precedents may inspire change elsewhere, yet adaptations reflect different constitutional texts, traditions, and political realities. The export of American judicial ideas therefore, produces varied outcomes rather than uniform transplantations.

At the level of communities, the Supreme Court's jurisprudence can have tangible effects: it shapes the legal vocabulary available to activists and lawyers, frames legislative debates, and signals the boundaries of state action. These effects are neither wholly deterministic nor uniformly beneficial; they interact with local conditions and can provoke resistance and reform.

Seen together, the story of American constitutional review is one of doctrinal innovation born of contested politics, institutional constraint, and intellectual exchange. Its legacy extends across borders and continues to inform contemporary struggles over rights, equality, and the role of courts in democratic life.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/r994cc6y

გიორგი ლაბაძე
კონსტიტუციონალისტი,
„ახალგაზრდა ადვოკატები“

აშშ-ის საეტაპო გადაწყვეტილებების გავლენა მსოფლიო პრაქტიკაზე

საკვანძო სიტყვები: საეტაპო გადაწყვეტილებები, სასამართლო აქტივიზმი, სამოქალაქო უფლებების ერა, აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია, რასაც აშშ-ის პირველი და დღემდე მოქმედი, 1787 წლის ფედერალური კონსტიტუცია და მისი 27 შესწორება განაპირობებს. კონსტიტუციის მიღების დროს ქვეყანაში არსებული წესრიგი დღევანდელისგან რადიკალურად განსხვავდება და, შესაბამისად, იშვიათი, მაგრამ კონსტიტუციით გარანტირებული ცვლილება ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების დამსახურებაცაა. სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, არსებული სამართლებრივი სისტემის სტაბილურობა, რაც აშშ-ის კონსტიტუციის არცთუ ისე ხშირი გადასინჯვით მიიღწევა, სწორედ უზენაესი სასამართლოს ეფექტურმა და დროულმა გადაწყვეტილებებმა დააბალანსა.[6]

სტატიაში განვიხილავთ ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემისა და მისი პრინციპიდან გამომდინარე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს შვიდ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, ვიკვლევთ მათ გავლენას მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა სამართლის განვითარებაზე და ვაჯამებთ, თუ რა წვლილი მიუძღვის ამერიკულ სასამართლოს მსოფლიოს სა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებაში.

1. დავების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტი

1.1. „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ (1803)

აშშ-ში სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შეფასება საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი სახეა. სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის დადგენამ სახელმწიფო ხელისუფლების ბალანსის მექანიზმად ჩამოყალიბება დაიწყო სწორედ ჩვენ მიერ განხილული პირველი საქმიდან „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“. მანამდე მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოში არ არსებობდა აქტის კონსტიტუციურობის დადგენის პრაქტიკა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად, სუვერენულმა მთავრობამ სასამართლოს უფლებამოსილება მიანიჭა, არაკონსტიტუციურად ეცნო საკანონმდებლო აქტი.[57]

ჯონ ადამსის (1797-1801) სახელისუფლებო ვადის უკანასკნელ დღეებში, ამერიკის მეორე პრეზიდენტმა ვაშინგტონის შტატის მოსამართლეობის რამდენიმე კანდიდატი დაასახელა, რაზეც სენატი დაეთანხმა. თუმცა, სახელმწიფო მდივანმა, ჯონ მარშალმა (1755-1835) აღნიშნულ კანდიდატებზე რწმუნებულება არ გასცა პრეზიდენტად თომას ჯეფერსონის არჩევამდე. ახლადარჩეულმა ჯეფერსონმა თავის სახელმწიფო მდივან ჯეიმს მედისონს (1751-1836) მითითება მისცა, არ გაეცა რწმუნებულება წინამორბედის მიერ შერჩეულ მოსამართლეებზე. ამის საპასუხოდ, მოსამართლეობის კანდიდატებმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს მედისონის წინააღმდეგ. მომჩივრები აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო მდივნის მიერ მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეესაბამებოდა აშშ-ის კონსტიტუციას. სარჩელის ფარგლებში, საკითხი სამი მიმართულებით განიხილეს: ჰქონდათ თუ არა მო-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სარჩელებს რწმუნებულების მიღების უფლება, შეეძლოთ თუ არა ამ რწმუნებულების გამო სასამართლოსთვის მიემართათ და ჰქონდა თუ არა სასამართლოს უფლება, გაეცა მოთხოვნილი რწმუნებულება. სამივე შემთხვევაში პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ იმ დროს მოქმედი „1789 წლის საკანონმდებლო აქტი“ უზენაეს სასამართლოს უფრო მეტ კომპეტენციას ანიჭებდა, ვიდრე თავად ჰქონდა მინიჭებული კონსტიტუციით. კონგრესის მიერ მიღებული ამ აქტით, უზენაეს სასამართლოს გადაეცა უფლებამოსილება, განეხილა დავების უფრო ფართო სპექტრი, მათ შორის, მოსამართლეებთან დაკავშირებული საკითხები.

აშშ-ის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულების მოქმედებას, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე შტატი მოდავე მხარეა, უზენაეს სასამართლოს აქვს პირველი ინსტანციის უფლებამოსილება“.[48] იმის გამო, რომ კონსტიტუციის ამ დანაწესთან შესაბამისობაში არ მოდიოდა ზემოთხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-13 მუხლი, სასამართლომ იგი ძალადაკარგულად სცნო, ხოლო უილიამ მერბერის (1762-1835) საჩივარი აღარ განიხილა ამ კანონის ძალადაკარგულად ცნობის გამო. თუმცა, მერბერის საქმე საფუძვლიანად მიიჩნია, ის სამართლებრივი აქტი, რომელიც მერბერის მისი უფლებამოსილების შეწყვეტის წერილობითი დოკუმენტის პირდაპირ უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლებამოსილებას აძლევდა, არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.[57] ჯონ მარშალმა განმარტა, რომ „კონსტიტუცია ყველა აქტზე აღმატებული, უზენაესი კანონია“ და როდესაც სხვა აქტები მასთან შესაბამისობაში არ მოდის, ისინი უნდა გაუქმდეს. გამოდის, სასამართლოს მიმართეს სხვა მოთხოვნითა და არგუმენტაციით, ხოლო საკითხის განხილვამ სრულიად სხვა მიმართულება მიიღო და კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი შექმნა, რომელიც კონგრესის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობას ადგენდა. შედეგად, სასა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მართლო გახდა დამატებითი რგოლი იმ პროცესში, რომელსაც ძალაუფლების ბალანსი და შეკავება-გაწონასწორების მექანიზმი ჰქვია.

აღნიშნული ცვლილების შედეგად, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კანონი ან მისი ნორმა, რომლის საფუძველზეც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არ შეესაბამება კონსტიტუციას, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა და საეჭვო ნორმის კონსტიტუციურობაზე იმსჯელოს.[51] მერბერის სარჩელის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების კომპეტენცია წინასწარი განსაზღვრის გარეშე დაადგინა. თუმცა არცერთი მუხლით ასეთი უფლება მინიჭებული არა აქვს, სასამართლომ შემოიღო კანონების კონსტიტუციურობაზე სასამართლოს კონტროლის პრინციპი.[52] მას შემდეგ, სასამართლომ აქტების კონსტიტუციურობის საკითხი მრავალჯერ განიხილა.

1.2. „დრედ სკოტი სენდფორდის წინააღმდეგ“ (1857)

ეს საქმე შეერთებული შტატების სასამართლოს ისტორიაში ყველაზე ცუდი გადაწყვეტილების[60] სტატუსით შევიდა, რადგან, როგორც შტატების, ისე უზენაესი სასამართლოს განმარტებების მიხედვით, სკოტს, როგორც მონას, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება არ ჰქონდა.[58] ვირჯინიაში დაბადებული დრედ სკოტი მონათმფლობელურ მისურის შტატში ცხოვრობდა, როცა მფლობელმა გარკვეული დროით ილინოისსა და ვისკონსინში წაიყვანა, სადაც მონობა კანონით იყო აკრძალული. მისურიში დაბრუნებულმა დრედ სკოტმა სცადა, შტატის სასამართლოებში დაემტკიცებინა, რომ თავისუფლება ეკუთვნოდა იმ მოსაზრებით, რომ მონობააკრძალულ შტატში ცხოვრების გამო, მას ავტომატურად მიენიჭა თავისუფლება და მისურიში დაბრუნების შემდეგ, ის მონა აღარ იყო. დრედ სკოტის მცდელობა ამაო გამოდგა მონათმფლობელური მისურის შტატის კანონთან შეჯახებისას. მან დავა ფედერალურ სასამართლოში განაგრძო, სა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაც მისი იმჟამინდელი ბატონი ამტკიცებდა, რომ აფრიკული წარმომავლობის შავკანიან მონას არ შეეძლო მოქალაქეობის მიღება და სასამართლოში სარჩელის შეტანა.

იმ დროს შეერთებული შტატების ხელისუფლებაში დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც მონების გათავისუფლებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ამის დასტურად გამოდგება 1860 წლის ჯორჯიის დებატების ჩანაწერები სეცესიის შესახებ, რომელშიც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზით გამოწვეული უმთავრესი სადავო საკითხი სწორედ მონობის შენარჩუნება-გაუქმების თემა იყო.[59] ეს პროცესი 1863 წლის 1 იანვრის ემანსიპაციის პროკლამაციით ანუ მონების გათავისუფლების აქტით დასრულდა, რომელიც პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა (1809-1865) გამოსცა. პროკლამაციაში აღნიშნული იყო, რომ „მონის სტატუსის მქონე ყველა პირი არის და იქნება თავისუფალი“.[8]

უშუალოდ დავის ფარგლებში, საკითხი შემდეგნაირად დაისვა: შეეძლო თუ არა შავკანიანს, რომლის წინაპრებიც ქვეყანაში მონის სტატუსით შემოიყვანეს, საზოგადოების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმულიყო და მასზეც ვრცელდებოდა თუ არა ის უფლებები თუ პრივილეგიები (მათ შორის, სასამართლოში ჩივილის უფლება), რომლებიც შეერთებული შტატების მოქალაქეებს კონსტიტუციით ჰქონდათ გარანტირებული?[1] პირველ რიგში, სასამართლომ ბათილად სცნო 1820 წლის მისურის შეთანხმება, რათა მონობის საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი ორაზროვნება მოესპო, და მოსარჩელეს განუცხადა, რომ მოქალაქეობის მინიჭების კომპეტენცია კონგრესის პრეროგატივა იყო. მოსამართლეები წერდნენ: „ეს პოლიტიკისა და კანონშემოქმედების საკითხია, ანუ მათი, ვინც სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაადგინა და შექმნა კონსტიტუცია“.[7] სასამართლოს კომპეტენცია კი იყო მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტის განმარტება, რომ ნათელი მოეფინა მისი შინაარსისთვის და მაქსიმალურად

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაეახლოვებინა მმართველობის იმ მიზნებთან, რისთვისაც შექმნეს დამფუძნებელმა მამებმა.[2]

როდესაც 1857 წლის მარტში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დრედ სკოტისთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღო შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ, მოსამართლე როჯერ ტონიმ (1777-1864) განმარტა: „ვფიქრობთ, რომ აფრიკული წარმომავლობის ადამიანები არ მოიაზრებიან და ისინი არც უგულისხმიათ სიტყვაში „მოქალაქეები“. შესაბამისად, მათ ვერ ექნებათ პრეტენზია იმ უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია თავისი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ადგენს“.[7] სწორედ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ეს განმარტება გახდა ის მიზეზი, რის გამოც დრედ სკოტის საქმეს ბერნარდ შვარცმა თავის წიგნში „ამერიკული სამართლის საუკეთესო და უარესი საკითხები“ (1997) შეერთებული შტატების სასამართლოს ისტორიაში „ყველაზე უარეს გადაწყვეტილებათა შორის უპირველესი“ უწოდა.

1.3. „ნიარი მინესოტას წინააღმდეგ“ (1931)

ეს საქმე გამორჩეულად მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლების საკითხის განმარტების გამო, რაც უაღრესად საყურადღებო და პრიორიტეტული თემაა როგორც უშუალოდ შეერთებული შტატების, ისე ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის, მათ შორის, საქართველოსთვის. საუბარია 1925 წელს მინესოტას შტატში მიღებულ კანონზე, რომელიც სიტყვის თავისუფლებას უზღუდავდა ბეჭდურ მედიას „უხამსი, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების შემთხვევაში“.[25] ამ კანონით, მოქალაქეებს უფლება მიეცათ მედიის საქმიანობა გაესაჩივრებინათ და შესაბამისი რეაგირება მოეთხოვათ საზოგადოებრივი უსიამოვნებების აღმოფხვრის მიზნით.[25]

ქალაქ მინეაპოლისში გამომავალი გაზეთის „შაბათის პრესა“ რედაქტორმა ჯეი ნიარმა თავისი გამოცემის ფურცლებზე ებრაელი განგსტერები ქალაქის კონტროლში ამხილა, ხოლო ადგილობრივი პოლიციის უფროსს,

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ფრენკ ბრანსკილს მათთან თანამშრომლობასა და პოლიტიკურ კორუფციაში დასდო ბრალი. რედაქტორის კრიტიკის ქარცეცხლში ასევე მოყვნენ მინეაპოლისის მერი – ჯორჯ ლიჩი, ჰენეპინის ოლქის გენერალური პროკურორი და მოგვიანებით მინესოტას შტატის სამი ვადით არჩეული გუბერნატორი ფლოიდ ოლსონი და ჰენეპინის ნაფიცი მსაჯულები.[47] ნიარს ამ მედიაბრძოლაში გვერდით ედგა მერობის ყოფილი კანდიდატი, წარსულში ცილისწამებისთვის ნასამართლევი ჰავარდ გილფორდი, რომელზეც თავდასხმა განხორციელდა ნიარის პირველი პუბლიკაციის შემდეგ, ხოლო განმეორებით – უკვე საავადმყოფოში.

პროკურორმა ოლსონმა ნიარის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის 1925 წლის კანონის“ საფუძველზე. ნიარმა შტატის მასშტაბით ყველა ინსტანციის ამოწურვისა და ყოველ ეტაპზე მისი გამამტყუნებელი განაჩენების მიღების შემდეგ, დავა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში განაგრძო. ნიარის პატიმრობის კანონიერების დადგენამდე, უზენაესმა სასამართლომ მინესოტაში გამოცემული აქტის (Minnesota Gag Law) კონსტიტუციურობა განიხილა, რომელიც, გარკვეულ შემთხვევაში, არსებითად ზღუდავდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, რითიც წინააღმდეგობაში მოდიოდა უფლებათა ბილთან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ჩარლზ ევანს ჰიუზმა (1862-1948) განაცხადა: „მიმდინარე საქმეში დადგენილი სასჯელის საჭიროება არ არსებობს... კონსტიტუციის პირველი შესწორება უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ, ვწეროთ და ვბეჭდოთ ნებისმიერი მოსაზრება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაირღვეს ადამიანის დანარჩენი უფლებები, როგორიცაა ღირსება, საკუთრება, რეპუტაცია. ასევე, საფრთხე არ უნდა შეუქმნას საზოგადოებრივ მშვიდობას და არ უნდა მოუწოდებდეს ხელისუფლების დამხობისკენ“.[29] ამ განმარტების ბოლოს მოსამართლე ჰიუზმა დაიმოწმა გამოჩენილი ინგლისელი იურისტის, სერ უილიამ ბლექსტონის (1723-1780) ფრაზა: „დაიმორჩილო პრესა შემ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ზღუდველი ძალაუფლებით ისე, როგორც ამას ძველად აკეთებდნენ, ნიშნავს, რომ დაიმორჩილო აბსოლუტურად ყველა თავისუფლება“.[3] უზენაესმა სასამართლომ ამ გახმაურებულ საქმეზე ნიარის სასარგებლოდ გადაწყვეტილება ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ მიიღო.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამერიკული საზოგადოების რეაქცია ამ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. პრესამ თავისუფლად ამოისუნთქა და გაზეთები აღფრთოვანებით წერდნენ: „მოსამართლე ჰიუზის გადაწყვეტილება თავისუფალი აზრის ის ტრიუმფია, რომელიც ისტორიას მარად გაჰყვება“.[14] ნიარის საქმე გარდამტეხი ნაბიჯი გამოდგა მთელ სამყაროში სიტყვის თავისუფლების გაგებასთან დაკავშირებით. აშშ-ში ცენზურა ლეგალურად დაიგმო და მოცემული გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების განმარტების ნორმად იქცა შემდგომ დაეებშიც.[30]

1.4. „ბრაუნი ტოპეკას განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ (1954)

სეგრეგაცია აშშ-ის ისტორიის განსაკუთრებით მტკივნეული საკითხია. 1896 წელს სასამართლომ შემოიღო სიტყვათა შეთანხმება „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“ (separate but equal). აღნიშნული დოქტრინა 1954 წლამდე გაგრძელდა შეერთებულ შტატებში, როცა სასამართლოს მსჯელობა მოუწია საჯარო სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის კონსტიტუციურობის საკითხზე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1951 წელს აფროამერიკელმა ოლივერ ბრაუნმა (1918-1961) ადგილობრივ სასამართლოში უჩივლა ტოპეკას განათლების საბჭოს იმის გამო, რომ მისი გოგონა ლინდა კეროლ ბრაუნი უბნის სკოლაში კანის ფერის გამო არ მიიღეს და შორეულ სასწავლებელში გაამწესეს. მესამეკლასელს ექვსი უბანი ფეხით უნდა გაევლო (რაც გულისხმობდა 24 ქუჩის მომცველი ტერიტორიის გავლას), სანამ თავისი სკოლის ავტობუსამდე მიაღწევდა, რომელიც უკვე სკოლის კარამდე მიიყვანდა ბავშვს.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბრაუნს თორმეტი სხვა აფროამერიკელი მშობელი დაემატა და მათ ჯგუფური სარჩელი შეიტანეს ოცი ბავშვის სახელით, რომელთაც ახლომდებარე სკოლებში მიღებაზე უარი უთხრეს და შავკანიანებისთვის განკუთვნილ სკოლებში გაამწესეს. დაბალი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეები ვერაფრით შეთანხმდნენ, რადგან პრეცედენტული გადაწყვეტილების მიღებას ვერ რისკავდნენ. საბოლოოდ, საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა, სადაც მას ოთხი მსგავსი საქმე დაემატა: ქალაქ ვაშინგტონიდან „ბოლინგი შარპის წინააღმდეგ“, ვირჯინიის შტატიდან „დევისი პრინც ედუარდის ოლქის საოლქო სკოლის საბჭოს წინააღმდეგ“, დელავერის შტატიდან „გებჰარტი ბელტონის წინააღმდეგ“ და სამხრეთ კაროლინის შტატიდან „ბრიგსი ელიოტის წინააღმდეგ“.[61]

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ დოქტრინის „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“ არსებობა იმთავითვე არათანაბარ პირობებში აყენებდა ადამიანებს და ამერიკის კონსტიტუციის მე-14 შესწორებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან „კანონის წინაშე თანასწორობის“ პრინციპს უდავოდ არღვევდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრავალი გამოსვლა თუ მანიფესტაცია მოეწყო დოქტრინის „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“ გაუქმების მოთხოვნით, რასაც, საბოლოოდ, მოსამართლეების მხრიდან დათმობა მოჰყვა.[26] გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს – ცხრა მომხრე და არცერთი წინააღმდეგი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ერლ უორენმა დაასკვნა: „ვაცხადებთ, რომ საჯარო სკოლებში დოქტრინა „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“ ყოვლად მიუღებელია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მოსარჩელეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, რომლებიც მათ და სეგრეგაციის გამო დაზარალებულ სხვა ადამიანებს ეხებათ, ეფუძნება კონსტიტუციის მე-14 შესწორებით დადგენილ, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს... მრავალი საკამათო მოსაზრების მიუხედავად, საჯარო სკოლებში სეგრეგაციის არსებობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით, ვად-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გენთ რომ სეგრეგაცია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის უარყოფაა“.[4]

უორენის განმარტებიდან ჩანს, რომ მოსამართლეები საკითხის განხილვისას მეორე მხარეზეც საუბრობდნენ. პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს პოზიციის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ასეთი წინააღმდეგობა, პირველ რიგში, სამხრეთში გაჩნდა, სადაც როგორც მოსახლეობა, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავისი გამოსვლებით წინააღმდეგობის მასშტაბურობას აფიქსირებდნენ.[47] სამხრეთელები ამტკიცებდნენ, რომ სეგრეგაცია განათლების ხარისხის, მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სკოლებში სიმშვიდის გარანტი იყო.[21]

ბრაუნის საქმეს 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების ხანა მოჰყვა, რის შედეგადაც თავისუფლებებს მარტივად ვეღარ უზღუდავდნენ თანასწორობის მოსურნე ადამიანთა ერთ დროს განცალკევებულ ჯგუფებს. XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი კონსტიტუციონალისტის, ალექსანდრე ბიკელის (1924-1974) შეფასებით, „ბრაუნი იყო დასაწყისი“.[13] სამოქალაქო უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ბრძოლა მანამ გაგრძელდა, სანამ დისკრიმინაციის მხარდამჭერი კანონები ფედერალურმა კანონმდებლობამ სანაგვეში არ მოისროლა.[62]

1.5. „ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ“ (1962)

შეერთებული შტატების სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შემდეგ, სკოლებსა თუ სხვა სახის სასწავლო დაწესებულებებში არასოდეს ჰქონია ადგილი წინააღმდეგობას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანს ამა თუ იმ საქმის დაწყების წინ მოკლე ლოცვა წარმოეთქვა. ეს ქრისტიანული აღმსარებლობის პრინციპების შესაბამისი ქმედება შეერთებული შტატების ისტორიის ადრეულ ეტაპზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. შესაბამისად, იმ პერიოდის ამერიკაში ლოცვა არათუ დაშვებული, არამედ სასწავლო პროცესის

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ძირითადი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილიც იყო.[41] იმის გამო, რომ მოსწავლეები ერთი და იმავე აღმსარებლობის იყვნენ, ლოცვის შესაბამისობა-შეუსაბამობის საკითხი დამფუძნებელი მამების ეპოქაში არც დასმულა. ლოცვის ლეგიტიმაციის საკითხი მოგვიანებით წარმოიშვა, აშშ-ის მოსახლეობის გამრავალფეროვნების შემდეგ. შედეგად, სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთი ასპექტი საჯარო სკოლებში ლოცვის აკრძალვა გახდა.[27]

კონფლიქტი წარმოიშვა ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთი სკოლის საბჭოს დადგენილების გამო, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ყოველ დილით სწავლის დაწყებამდე უნდა წარმოეთქვათ შემდეგი ლოცვა: „ყოვლისშემძლე ღმერთო, მორჩილებას გიცხადებთ და გთხოვთ, გვაკურთხო ჩვენ, ჩვენი მშობლები, მასწავლებლები და ქვეყანა. ამინ“.[9]

ებრაელმა სტივენ ენჯელმა, რომელსაც აღნიშნულ სკოლაში ორი შვილი დაჰყავდა, სკოლის დირექტორის, უილიამ ვიტალე-უმცროსის წინააღმდეგ ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა არსებული წესის გაუქმების მოთხოვნით. მოსარჩელე თვლიდა, რომ „ყოვლისშემძლე ღმერთი“ ეწინააღმდეგებოდა მისი და მისი შვილების რელიგიურ მრწამსს. ენჯელს მხარს უჭერდა სხვადასხვა ებრაული ორგანიზაცია, მათ შორის, ებრაელი რაბინების ეთიკური მოძრაობა.

ნიუ-იორკის შტატის ორივე ინსტანციის სასამართლოდან სტივენ ენჯელის სარჩელი არცერთმა არ დააკმაყოფილა. ბოლოს ეს საქმე ამერიკის უზენაეს სასამართლომდე მივიდა, რომელსაც უნდა გაერკვია, არღვევდა თუ არა სკოლაში შემოღებული პრაქტიკა და სასწავლებლის წესდების აღნიშნული პუნქტი კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებულ რელიგიის თავისუფლების უფლებას.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დადებითი ვერდიქტი შემდეგნაირად ახსნა: „პირველი შესწორების მიღება იმიტომ მოხდა, რომ კანონით გარანტირებული ყოფილიყო მთავრობის პრესტიჟისა თუ იმ ძალაუფლებისგან

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაცვა, რომლის ძალითაც იგი შეძლებდა ამერიკელ ხალხზე რაიმე სახის რელიგიური გავლენის მოხდენას. შესაბამისად, ხალხის რელიგიური გრძნობები არ უნდა დამორჩილებოდა იმ ზეწოლას, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, შტატი ან ფედერალური ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც საზოგადოების წევრებისთვის სავალდებულოს გახდის კონკრეტული ფორმისა და სახის ლოცვას.“[9]

დამფუძნებელი მამების აზრით, მთავრობა აუცილებლად საკულარული (საერო) უნდა ყოფილიყო, ხოლო საზოგადოება უნდა დამორჩილებოდა მორალისა და რელიგიის ნორმებს, რაც სტაბილურობისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენდა.[50] რადგან ახლადდაარსებულ შეერთებულ შტატებში ემიგრირებულთა რელიგიური შეხედულებები ჰომოგენური და ერთმანეთის მსგავსი იყო, არსებული ვითარება კონსტიტუციის პირველი შესწორების განმარტებას არ საჭიროებდა. საზოგადოების უჩვეულო სიჭრელემ და განსხვავებული კულტურების ერთი სახელმწიფოს საზღვრებში თავმოყრამ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ დააყენა. საქმე „ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ“ პირველი ნაბიჯი გამოდგა, რასაც, საბოლოოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა სკოლაში ლოცვების სავალდებულოობის საკითხთან დაკავშირებით.[12]

1.6. „როუ ვეიდის წინააღმდეგ“ (1973)

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ორსაუკუნოვან პრაქტიკაში არსებობს საკანონმდებლო დავები, რომლებთან დაკავშირებითაც გამოტანილი გადაწყვეტილებები ახლა ნაკლებად სადავოა და საზოგადოების განხილვის საგანს იშვიათად წარმოადგენს. მათ რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება „როუ ვეიდის წინააღმდეგ“. ამ საქმისადმი განსაკუთრებული ინტერესი დღემდე არ განელებულა და ფართოდ განიხილება როგორც სამეცნიერო, ისე სხვა

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საზოგადოებრივ წრეებში. ზოგი იმედით ელის მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ზოგს კი სწორედ მისი გაუქმების შიში არ ასვენებს ამერიკის უზენაესი სასამართლოს სავარძელში ყოველი ახალი პირის გამოჩენისას.[63]

ყველაფერი ტეხასის შტატში დაიწყო, სადაც ადგილობრივმა მცხოვრებმა, ნორმა მაკ-კორვიმ, რომელიც სასამართლო პროცესში მეტსახელით – ჯეინ როუ ფიგურირებდა პიროვნების ანონიმურობის დაცვის მიზნით, აბორტის გაკეთება გადაწყვიტა მესამე ორსულობისას. ტეხასის შტატში კანონი კრძალავდა ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორსულობა ქალის ჯანმრთელობას უქმნიდა საფრთხეს. მაკ-კორვის ადვოკატებმა – სარა უედინგტონმა და ლინდა კოფიმ სარჩელი შეიტანეს ფედერალურ სასამართლოში ნორმას საცხოვრებელი რაიონის პროკურორის, ჰენრი უეიდის წინააღმდეგ და საქმე მოიგეს. ეს ტეხასის შტატმა უმაღლეს ინსტანციაში გაასაჩივრა.

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმე მიიღო. მოსამართლეებმა საკითხის განხილვა ანტიკური ბერძნული სამართლის ნორმების, სტოიკოსთა და არისტოტელეს მოსაზრებების გათვალისწინებით დაიწყეს. ამას დაუმატეს ძველებრაული შეხედულებების, ნეტარი ავგუსტინეს შრომებში წამოჭრილი და შედარებით ახალი, პროტესტანტული მიდგომები.[35] პრობლემის მსგავსი მასშტაბური განხილვა გამოიწვია საკითხისადმი განსაკუთრებულმა საჯარო ინტერესმა: საჭირო იყო სასამართლო გადაწყვეტილების როგორც სამართლის, ისე მორალის კუთხით დასაბუთება.

1973 წლის იანვარში შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის შტატში მოქმედი კანონი წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის მე-14 შესწორებასთან, რომელიც განსაზღვრავდა „პირადი ცხოვრების უფლების“ საკითხს. სწორედ ეს უფლება იცავდა ორსული ქალის არჩევანის უფლებას, გაეკეთებინა თუ არა აბორტი. უზენაესმა სასამართლომ

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აბორტის გაკეთებასთან დაკავშირებული არჩევანი ფუნდამენტურ უფლებად აღიარა. ეს გადაწყვეტილება თვით აბორტის მხარდამჭერი მრავალი აქტივისტისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

მას შემდეგ, ამერიკელ ქალებს აბსოლუტური თავისუფლება მიენიჭათ ფეხმძიმობის მოშლის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით პირველი ტრიმესტრის პერიოდში. ამერიკის მთავრობას ჯანმრთელობის დასაბუთებული რეგულაციების მოთხოვნის უფლება მიეცა ქალის ფეხმძიმობის მეორე ტრიმესტრის პერიოდში. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ცალსახად აკრძალული დარჩა მესამე ტრიმესტრის პერიოდში იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ქალის სიცოცხლის გადარჩენის საკითხი დადგება. აღნიშნულ ეტაპზე ბრძოლა pro-choice-ის[49] აქტივისტებმა მოიგეს, თუმცა, ეს მხოლოდ ხანგრძლივი დისპუტის დასაწყისი გახდა.

1.7. „კალიფორნიის უნივერსიტეტის მმართველთა საბჭო ბაკის წინააღმდეგ“ (1978)

სასამართლოს მიერ ამ საქმის დადებითად გადაწყვეტამ შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია დისკრიმინაციულობის შეფასებასა და მის ლეგიტიმურობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ზოგიერთი სამართალმცოდნის აზრით, ეს დასკვნა მე-14 შესწორებით გარანტირებული თანასწორობის პრინციპის დარღვევაა. თუმცა, ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებებთან მიმართებით ამ სახის დისკრიმინაციას ლეგიტიმური მიზანი და რაციონალური ახსნა აქვს.

საქმე ეხება 33 წლის თეთრკანიან ალან ბაკის: ყოფილ საზღვაო ოფიცერს, ვიეტნამში ნამსახურევ კაპიტანს, მოგვიანებით კი ნასას ინჟინერს, რომელსაც შედარებით სოლიდურ ასაკში დასჭირდა სამედიცინო განათლების მიღება პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე. მან 12 სამედიცინო სასწავლებელში შეიტანა საბუთები, მაგრამ ყველგან უარი მიიღო მიღებაზე, რადგან 1970-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

იანი წლების ამერიკაში ასაკობრივი დისკრიმინაცია ნორმად ითვლებოდა.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტსა და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში უშედეგო მცდელობის შემდეგ, ბაკიმ კალიფორნიის უნივერსიტეტის დევისის სკოლას მიმართა. განაცხადში ალანმა ჩაწერა, რომ სამშობლოს სამსახურში გატარებულ წლებში დაინტერესდა მედიცინით. კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტმა, კანდიდატის ასაკის მომიზეზებით, მიღებაზე უარი უთხრა ალან ბაკის მაღალი ქულების, დოქტორ თეოდორ უესტთან გასაუბრებაზე მიღებული დადებითი დახასიათებისა და მისი რეკომენდაციის მიუხედავად. სამედიცინო ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პიტერ სტორანდტმა ალანს საბუთების ხელახლა წარმოდგენა ურჩია, რადგან ღრმად სწამდა მისი წარმატების, ხოლო კვლავ წარუმატებლობის შემთხვევაში, „საკითხის იურიდიული განხილვა შეეძლო“. მეორე უარის შემდეგ ბაკიმ პირდაპირი გაგებით გამოიყენა სტორანდტის სიტყვები და კალიფორნიის უნივერსიტეტის მმართველთა საბჭოს სასამართლოში უჩივლა. იმედგაცრუებული კანდიდატის თანადგომა ძვირი დაუჯდა გულისხმიერ პიტერ სტორანდტს. ბერნარდ შვარცი თავის წიგნში „ბაკის საქმის კულუარები“ (1988) წერდა, რომ დეკანის მოადგილე ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს, მოგვიანებით კი კალიფორნიის უნივერსიტეტიდანაც გააგდეს.

იმ პერიოდში გაჩენილი ტერმინის „პოზიტიური დისკრიმინაციის“ არსი მანამდე შედარებით დაჩაგრულ მდგომარეობაში მყოფი პირების (უმეტესწილად, აფროამერიკელების) მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენაში მდგომარეობდა საუნივერსიტეტო, დასაქმებისა და სამთავრობო შეთანხმებათა მიმართულებით.[45] კალიფორნიის უნივერსიტეტის მესვეურები მაქსიმალურად იყვნენ ორიენტირებულები სასწავლო პროცესში რასობრივად და ეთნიკურად განსხვავებული სტუდენტების ჩართვაზე,[15] რის გამოც ყოველი ასი მისაღები ადგილიდან 16 უმცირე-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სობების წარმომადგენლებისთვის ჰქონდათ გამოყოფილი.[33]

გაცილებით დაბალქულიანი აფროამერიკელები ყოველთვის ავსებდნენ მათთვის განკუთვნილ 16 ადგილს სპეციალური პროგრამით სწავლისას მაშინ, როცა 1971-1974 წლებში 272 თეთრკანიანი განმცხადებლიდან ერთიც ვერ მოხვდა იმავე პროგრამით. ბაკის საქმის მსვლელობისას სხვა არაერთ უსამართლო გადაწყვეტილებას აეხადა ფარდა კალიფორნიის უნივერსიტეტის მისაღები კომისიისა და რექტორის მხრიდან, რაზეც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ 1976 წელს წერდა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის გადაწყვეტილება შტატის ორივე ინსტანციის სასამართლომ გააუქმა და დისკრიმინაციად შეაფასა თანასწორობის უფლებიდან გამომდინარე.[15] თუმცა, სხვაგვარი განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ, სადაც პოზიციები ორად გაიყო. ერთი მხარე ამბობდა, რომ „რასობრივი კუთვნილება არ უნდა გახდეს რომელიმე პიროვნების სამთავრობო დაფინანსების პროგრამაში მოხვედრის საფუძველი“.[45] მეორე მხარის მტკიცებით, „მთავრობამ შესაძლოა რასობრივი კუთვნილება გაითვალისწინოს, თუკი ამით გარკვეული შეურაცხყოფისა და ადრე არსებული შევიწროებისა თუ რასობრივი ცრურწმენების შედეგად წამოჭრილი პრობლემების თავიდან აცილებას ცდილობს“.[45] ამ ორ პოზიციას შორის ამერიკის უზენაესი სასამართლოს რვა მოსამართლის ხმები თანაბრად გაიყო. 1978 წლის 28 ივნისს დავა ბაკის სასარგებლოდ გადაწყვიტა მოსამართლე ლუის პაუელ-უფროსმა (1907-1998), რომელიც იმ ოთხ მოსამართლეს მიემხრო, ვინც უმცირესობების სამთავრობო პროგრამით მიღების შეჩერებასა და ალან ბაკის სამედიცინო პროგრამაზე დაშვებას უჭერდა მხარს.

1.8. „მასტერპის ქეიქშოპი“ კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიის წინააღმდეგ“ (2018)

„მასტერპის ქეიქშოპი“ (Masterpiece Cakeshop, Ltd) კოლორადოს შტატის ქალაქ ლეიკვუდში არსებული საცხო-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბია, რომელიც მორწმუნე ქრისტიანს, მეწარმესა და ცნობილ კვალიფიციურ მცხობელს, ჯეკ ფილიპსს ეკუთვნის. 2012 წლის ივლისში მის საცხობს საქორწინო ტორტი შეუკვეთა გეი წყვილმა, მაგრამ ფილიპსმა, თავისი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, მსგავსი შეკვეთის მიღებაზე უარი უთხრა პოტენციურ კლიენტებს. თუმცა, განსხვავებული პროდუქციის შეძენა შესთავაზა. უკმაყოფილო წყვილმა უსიტყვოდ დატოვა საცხობის მაღაზია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს ერთსქესიანთა ქორწინებას ჯერ კიდევ კრძალავდა კოლორადოს შტატის კანონმდებლობა, რის გამოც კრეგ-მულინსის წყვილი ურთიერთობის დაკანონებას მასაჩუსეტსის შტატში გეგმავდა, ხოლო მშობლიურ კოლორადოში ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ქეიფს აპირებდა. მეორე დღეს კრეგის დედამ, დებორა მუნმა ფილიპსს დაურეკა. მცხობელმა ქალს აუხსნა, რომ ქრისტიანული მრწამსისა და კოლორადოს შტატში გეი ქორწილების უკანონობის საფუძველზე თქვა უარი მისი შვილისა და სიძისთვის საქორწინო ტორტის შექმნაზე.

უკმაყოფილო წყვილმა ჯეკ ფილიპსის საქციელი კოლორადოს შტატის სამოქალაქო უფლებათა კომისიაში გაასაჩივრა, ტორტი კი სხვა საცხობში შეუკვეთა. კომისიამ სარჩელი დააკმაყოფილა და საცხობს დისკრიმინაციული პოლიტიკის შეცვლა მოსთხოვა. კოლორადოს ანტიდისკრიმინაციული აქტის მიხედვით, აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საბაბით „ბიზნეს საქმიანობის ადგილებში, როცა ადგილი აქვს პროდუქტების საჯაროდ გასაღებასა და საზოგადოებისთვის მომსახურების შეთავაზებას“. კომისიის განმარტების მიხედვით, საცხობის წარმომადგენლის ქმედებამ დაარღვია გეი წყვილის უფლებები. ამიტომ გადაწყდა საკითხი წყვილის სასარგებლოდ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კოლორადოს შტატის სასამართლოებიც დაეთანხმა.

ჯეკ ფილიპსმა უზენაესს სასამართლოს მიმართა ამერიკული კონსერვატულ-ქრისტიანული ორგანიზაცია

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„თავისუფლების დამცველი ალიანსის“ ხელშეწყობით. თუმცა კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისიაც და ამერიკული სამოქალაქო თავისუფლებების კავშირიც (ACLU) აპელაციაზე უარის თქმას სთხოვდა, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიიღო საცხობის პეტიცია. კომისიის გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა უზენაეს სასამართლოს დაევალა.[24]

მოსამართლე ენტონი კენედის თქმით, საქმეში ორი ძირითადი პრინციპის სამართლებრივი მიმართება იყო გასარკვევი. პირველი, ხელისუფლების ვალდებულება, დაიცვას გეი წყვილთა უფლებები მე-14 შესწორების შესაბამისად. მეორე, ყველა ადამიანს მიეცეს ფუნდამენტური უფლებით, სიტყვისა და რელიგიის თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

საქმესთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანას ის ართულებდა, რომ მცხობელს თავისი პროდუქციის გაყიდვაზე კი არ უთქვამს ზოგადად უარი, არამედ მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებს არ მოემსახურა კონკრეტულ შემთხვევაში. ჯეკ ფილიპსს რომ ნებისმიერი სახის ნამცხვრის გაყიდვაზე ეთქვა უარი გეი წყვილისთვის, ეს საქონლისა და სერვისის მიწოდებაზე უარის თქმად ჩაეთვლებოდა და სახელმწიფოს ამის აღმოფხვრის ვალდებულება ცალსახად დაეკისრებოდა. თუმცა, ფილიპსის განცხადებით, მან წყვილს უარი უთხრა ტორტის გაკეთებაზე იმის გამო, რომ მას ცხობისას უნდა გამოეყენებინა თავისი პროფესიული უნარები და გეი წყვილისთვის სასურველი პროდუქტის შექმნის შემთხვევაში, ფილიპსის თანხმობა საქორწინო ტორტის გამოცხობაზე ავტომატურად აისახებოდა ქორწინების ფაქტზეც. აქედან გამომდინარე, ერთსქესიანთა ქორწინების აღსანიშნავი ნამცხვრის შექმნა დაარღვევდა მცხობელის გამოხატვის თავისუფლებას, რადგან ეს აიძულებდა მას გამოემუღავნებინა თავისი პროფესიული უნარები იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც არ ეთანხმება საკუთარი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე. ამ დასაბუთების გათვალისწინებით, 2018 წლის 4 ივნისს უზენაესმა სასამართლომ შვიდი

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხმით ორის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა მცხობელის სარჩელს და მისი მოთხოვნა გაამართლა კონსტიტუციის პირველი შესწორების თანახმად.

2. ამერიკული გავლენა მსოფლიო სამართლებრივ იდეებსა და წესრიგზე

კონტინენტურ ევროპას, ხშირ შემთხვევაში, უჭირს ამერიკული ინსტიტუციების პირდაპირი რეცეფცია. როგორც ავსტრიელი სამართალმცოდნე ჰანს კელზენი (1881-1973) ამბობდა, „შეუძლებელია ყველა კონსტიტუციის ერთნაირი სახით მიღება, რადგან კონსტიტუციური ზედამხედველობა ხორციელდება თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი სპეფიციკური ნიშნების მიხედვით“.[5] იმ მიზეზებზე საუბარი, თუ რატომ მოხდა კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმების განსხვავებული სახით ჩამოყალიბება კონტინენტურ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძალზე შორს წაგვიყვანს. თუმცა, ბევრი ავტოროტეტული მკვლევრის კვალდაკვალ უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი მიზეზი ატლანტის ოკეანის საპირისპირო ნაპირებზე მცხოვრები ხალხის განსხვავებული პოლიტიკური თუ კონსტიტუციური ხედვებია.[11]

ზოგადად, კელზენური მოდელი (Kelsenian Model) საკონსტიტუციო კონტროლის ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით.[39] ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოები დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ფუნქციონირებს, მათ შორის, ევროპის ახალ დემოკრატიებში. საფრანგეთმაც კი, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის მიმართ ყოველთვის წინააღმდეგობრივი პოზიცია ეკავა, ქვეყანაში საკონსტიტუციო საბჭოს[55] (Conseil constitutionnel) არსებობა დაუშვა, საკანონმდებლო შემოქმედების ეტაპზე.[11] ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ევროპის კონტინენ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტზე საკონსტიტუციო კონტროლის ჩამოყალიბებისა თუ განვითარების აუცილებლობის შესახებ იდეა სწორედ ამერიკული, შერეული კონტროლის დამკვიდრების შემდეგ გაჩნდა,[10] რომელსაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, კონკრეტულ კონტროლსაც უწოდებენ.[53] რადგანაც შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის პიონერია, მსგავსი უფლებამოსილების სხვა სახელმწიფოებში ექსპორტიორადაც სწორედ აშშ უნდა ჩაითვალოს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის უზენაესი სასამართლოს განმარტებებს გლობალურად იყენებდნენ სახელმძღვანელოდ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი სახელმწიფოების სასამართლოები. ამიტომაც ამბობენ, რომ ამერიკელების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საექსპორტო პროდუქტი სწორედ საკონსტიტუციო სამართალია.[22] მაგალითისთვის, 1990 წლიდან 2002 წლის ჩათვლით კანადის უზენაესმა სასამართლომ ყოველწლიურად რამდენიმე ათეულჯერ გაუკეთა ციტირება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ხოლო ავსტრალიის შტატების უზენაესმა სასამართლოებმა მხოლოდ 1995 წელს – 208-ჯერ.[22]

უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქმის „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ გამოყენება ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ. რადგან ისრაელის სახელმწიფოს დაწერილი კონსტიტუცია არა აქვს, იქ ამერიკული უფლებათა ბილის მსგავსი, ძირითად უფლებათა განმსაზღვრელი კანონები მოქმედებს. შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტების მოწესრიგებისა თუ ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების ბალანსის შესაძლებლობა დაწერილი კონსტიტუციის მეშვეობით ვერ განხორციელდება.[31] ამიტომ, ისრაელის სახელმწიფომ, 1996 წელს საქმეზე „მიზრაჰის გაერთიანებული ბანკი მიგდალის სასოფლო კოოპერატივის წინააღმდეგ“ სასამართლოების მხრიდან კონსტიტუციური ზედამხედველობის შესაძლებლობა დაამკვიდრა ამერიკული საქმის „მერბერი მედისონის“ გამოცდილებაზე დაყრდნობით. საქმეში მიზრაჰის ბანკი აპე-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლირებდა ქნესეთის[56] მიერ ისეთი კანონის მიღებას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ისრაელის ძირითად კანონს. ამ საქმეში ებრაელმა მოსამართლეებმა ჯონ მარშალის მოსაზრებები გამოიყენეს საკუთარი დასკვნის არგუმენტირებისათვის: სასამართლოს უფლება აქვს, გააუქმოს ქნესეთის მიერ მიღებული ყველა არაკონსტიტუციური კანონი.[32] საკითხის ასეთი გადაწყვეტა ზუსტად შეესაბამება „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ საქმის არსს და შტატებისთვის დამახასიათებელ, კონსტიტუციური ზედამხედველობის მეთოდს ამკვიდრებს.

საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკის გარეთ არსებული სტანდარტების საილუსტრაციოდ, რამდენიმე საქმე და მათ გარშემო გლობალურად განვითარებული მოვლენები გამოდგება.

საქმის „ბრაუნი ტოპეკას განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ განხილვისას, შეერთებულ შტატებს „ცივი ომი“ ჰქონდა გაჩაღებული საბჭოთა კავშირთან. ამიტომ, ამერიკას არა მხოლოდ შიდასოციალური, არამედ შიდაპოლიტიკური საკითხებიც ჰქონდა გადასაჭრელი. აღნიშნული საქმის ბრაუნის სასარგებლოდ გადაწყვეტამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია მთელ მსოფლიოში. „როგორც იქნა, ამერიკის სკოლებში თეთრები და შავები ერთ მერხთან დასხდებიან“, დაიწერა აფრიკის ფრანგულ ნაწილში. მონტანას შტატში გამომავალი ამერიკული გაზეთი „სიდნეი ჰერალდი“ ასე იწონებდა მიღებულ დასკვნას: „ბრაუნმა გააქარწყლა კომუნისტების მოსაზრება, რომ დასავლური დემოკრატიის კონცეფციები მხოლოდ ფარისევლობაა“.[28] ბრაუნის გადაწყვეტილება მიწისძვრასავით იყო, რომელმაც კაცობრიობისთვის განათლება კიდევ ერთხელ განსაზღვრა მთავარ საკითხად.[17]

უმწვავესი თემაა და, ბუნებრივია, მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია საქმემ „როუ ვეიდის წინააღმდეგ“. აბორტის ლეგალიზების აუცილებლობის საკითხი 1960-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. აქტივისტები მთელი ამერიკის მასშტაბით ამტკიცებდნენ, რომ ორსულობის პერიოდში სიკვდილიანობის

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიდი წილი სწორედ უკანონო აბორტების ხარჯზე მოდიოდა, რის გამოც აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო აბორტის ამკრძალავი კანონი. მრავალი მიზეზის გათვალისწინებით, სასამართლომ აბორტის უფლება ყველა შტატში დააკანონა. ბედის ირონიით, რამდენიმე წლის შემდეგ აღნიშნულ საქმეში გამარჯვებული მოსარჩელე ნორმა მაკ-კორვი აბორტის მოწინააღმდეგეთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ აქტივისტად გადაიქცა.

თუმცა, ეს საკითხი მარტივად არ მოგვარებულა და გარკვეულწილად დაექვემდებარა უფრო კონკრეტულ რეგულაციებს, ძირითადად, პრეზიდენტად რონალდ რეიგანის არჩევის შემდეგ. ამას ახალი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. საყოველთაოდ ცნობილია რონალდ რეიგანის ირონიული შენიშვნა ამ საკითხთან დაკავშირებით: „როგორც ვატყობ, აბორტის ყველა მომხრემ დაბადება მოასწრო“.[54]

რეიგანმა, რომელიც აბორტის ცნობილი მოწინააღმდეგე იყო, უზენაეს სასამართლოში ისეთი მოსამართლეები წარადგინა, რომლებიც მის პოზიციას იზიარებდნენ. ეს, შესაძლოა, წარსულში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. რონალდ რეიგანმა უზენაეს სასამართლოში დასანიშნად წარადგინა სანდრა დეი ო’კონორი (დ. 1930), რომელიც, თავის დროზე, ჯეინ როუს მკაცრად აკრიტიკებდა. ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა უილიამ რენკუისტი (1924-2005), რომელიც ჯერ კიდევ 1973 წელის საქმეში იმ ორ მოსამართლეთაგან ერთ-ერთი იყო, ვინც გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. მეორე ვადით არჩეულმა რეიგანმა ამერიკელი კონსერვატორების კერპის, საყოველთაოდ ცნობილი მოსამართლის, ენტონინ სკალიას (1936-2016) კანდიდატურა წამოაყენა.[43]

პრეზიდენტის მიზანმიმართულმა ქმედებებმა შედეგი მალე გამოიღო. 1989 წლის საქმეში „ვებსტერი რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებათა წინააღმდეგ“ უზენაესმა სასამართლომ არ გააუქმა სადავო ნორმა, რომელიც კრძალავდა საჯარო მოხელეების მონაწილეობას

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აბორტის ჩატარებაში და ქალების წაქეზებას ფეხმძიმობის შეწყვეტისკენ.[42]

2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეში „გონსალესი ამერიკის ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის წინააღმდეგ“ სასამართლომ მხარი დაუჭირა აბორტის აკრძალვას ფეხმძიმობის ბოლო სტადიაზე.[38] აღსანიშნავია 2018 წლის მაისში აიოვას შტატში მიღებული კანონი, რომლითაც აბორტი აიკრძალა ექვს კვირაზე მეტი ხნის ფეხმძიმობის შემთხვევაში,[34] რაც, სავარაუდოდ, ძალიან მალე გახდება სადავო.

აბორტის საკითხისადმი ამერიკულ დამოკიდებულებას ერთი თავისებურება ახასიათებს, რაც აშკარა გავლენას ახდენს დანარჩენ მსოფლიოზე. საქმე ისაა, რომ შეერთებულ შტატებში 1970-იან წლებშივე გაჩნდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე მომუშავე, აბორტის საკითხებთან დაკავშირებული საკონსულტაციო ორგანიზაციები, რომლებიც ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ და ზღვისიქითა ტერიტორიებში აბორტის ხელშემწყობ საკანონმდებლო თუ სოციალურ ბაზას ლობირებდნენ.[40] 2017 წელს „მეხიკოს პოლიტიკა“ (Mexico City Policy) ამოქმედდა[16] და ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ფედერალური დაფინანსება შეუწყდათ. რონალდ რეიგანიდან მოყოლებული, აბორტის ამკრძალავ ნაბიჯებს რეგულარულად დგამდნენ ხოლმე რესპუბლიკელი პრეზიდენტები. საკითხისადმი დამოკიდებულება რადიკალურად იცვლებოდა დემოკრატი კანდიდატის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვა ქვეყნებში აბორტის რაოდენობა და ქალთა ჯანდაცვის პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია შეერთებულ შტატებში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან და იქ მიმდინარე მოვლენების უშუალო გავლენის ქვეშაა.

ასევე განსაკუთრებული იყო საქმის „როუ ვეიდის წინააღმდეგ“ ზემოქმედება უშუალოდ აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებაზე მსოფლიო მასშტაბით. ამ საქმემ განსაკუთრებით წაახალისა იმდროინდელი, ისედაც საკმაოდ აქტიური ტენდენცია, ქალთა რეპ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

როდუქციულ ავტონომიასთან დაკავშირებით. როუს ქეისის გადაწყვეტიდან 30 წლის განმავლობაში აბორტთან დაკავშირებული კანონების ისეთი მასშტაბური ლიბერალიზაცია განხორციელდა, როგორსაც მსოფლიო ისტორიის არცერთ სხვა მონაკვეთში არ ჰქონია ადგილი.[36] 1973 წლის იანვრის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით 12 სახელმწიფომ გადაიღო როუს საქმის განმარტებები და საკუთარ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებში პირდაპირ ასახა: დანიამ 1973 წლის ივნისში დააკანონა აბორტი, შვედეთმა 1974 წელს, საფრანგეთში კანონების ლიბერალიზაცია 1975 წელს განხორციელდა და ა.შ.[37]

1961 წლის 6 მარტს, როცა ჯონ კენედიმ „პოზიტიური ქმედება“ (affirmative action) ახსენა ახლადხელმოწერილ აქტში, მსოფლიომ ჯერ არ იცოდა ტერმინი „პოზიტიური დისკრიმინაცია“ (positive discrimination). იმ დღეს დაიბადა სრულიად ახალი პოლიტიკა პრეზიდენტის №10925 ბრძანებულებით. იგი მიზნად ისახავდა შავკანიანების ჩართვას იმგვარ საქმიანობაში, რაც ადრე მხოლოდ თეთრებისთვის იყო ხელმისაწვდომი და ნებადართული.[23] სეგრეგაციის პერიოდის შემდეგ, დისკრიმინაციის ეს ახალი სახე ემანსიპაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობად გამოდგებოდა.

ზოგადად, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, პოზიტიურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ათობით საქმე არსებობს. თუმცა, მათგან ყველაზე გამორჩეული და მასშტაბური ზემოთ განხილული საქმეა. მართალია, კონტინენტური ევროპა ყოველთვის ხელგაშლილი არ ეგებება ამერიკულ ინსტიტუციებს, მაგრამ პოზიტიური დისკრიმინაციის რეცეფცია შედარებით შეცვლილი სახით მაინც დაუშვა. ამის მიუხედავად, პოზიტიურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ევროსასამართლოს გამოცდილება ბევრად უფრო ახალგაზრდაა და, ძირითადად, ქალების შრომით უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს.[19] 1980-იანი წლებიდან აღნიშნული ინსტიტუტის ევროპულმა ვარიანტმა ასევე შეითავსა გენდერული დისბალანსის აღმოფხვრის მიზანი,

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სხვადასხვა სოციალური თუ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხი, ქალისა და მამაკაცის როლის გათანაბრება.[18]

უკანასკნელ პერიოდში ბრიტანეთის უზენაეს სასამართლოში გახშირდა შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განმარტების პრაქტიკული გამოყენების შემთხვევები. 2018 წლის ოქტომბერში გაერთიანებული სამეფოს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე „ლი „აშერზის საცხობი კომპანიისა“ და სხვების წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელე მხარეებად წარმოდგენილი იყვნენ ჩრდილოეთ ირლანდიელი ლგბტ აქტივისტი გარეტ ლი და ქალაქ ბელფასტში მდებარე საცხობის მფლობელი ცოლ-ქმარი, დანიელ და ემი მაკართურები („მასტერპის ქეიქშოპის“ საქმის ანალოგიურად). 2014 წელს, როდესაც ჩრდილოეთ ირლანდიაში ჯერ კიდევ არალეგალური იყო ერთსქესიანთა ქორწინება, ქრისტიან წყვილს გარეტმა ტორტი შეუკვეთა წარწერით „მხარი დაუჭირეთ გეი ქორწინებას“. მაკართურებმა სადეპოზიტო თანხა დააბრუნეს და შეკვეთის შესრულებაზე უარი თქვეს, რადგან მათი რელიგიური მრწამსის შეურაცხმყოფელი საკითხის მხარდაჭერა არ შეეძლოთ. „გეი ტორტის“ საქმე (როგორც ბრიტანულმა მედიამ უწოდა აღნიშნულ ქეისს) ცოლ-ქმრის სასარგებლოდ გადაწყვიტა სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოში ადამიანებს კანონის ძალით ვერავინ აიძულებდა მათთვის არსებითად მიუღებელი იდეის მხარდაჭერას. შედეგით კმაყოფილი დარჩა ქორწინების მხარდამჭერი კოალიცია და ქრისტიანული ინსტიტუტი, რომლებმაც საცხობის სასამართლო ხარჯები დაფარეს.

თუმცა ამერიკული და ბრიტანული დავის დეტალები იდენტური სულაც არ იყო, ისინი არსობრივად მაინც წააგავდა ერთმანეთს. ამიტომ, ბრიტანულმა სასამართლომ შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილებით იხელმძღვანელა. გადაწყვეტილების ტექსტში ბრიტანელმა მოსამართლეებმა ხაზი ორჯერ გაუსვეს „მასტერპის ქეიქ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შოპის“ საქმეს და გადაწყვეტილების დასაბუთებისას არგუმენტად გამოიყენეს შეერთებულ შტატებში იმავე წლის ივნისში დამკვიდრებული პრაქტიკა.[20]

* * *

კონსტიტუციური ზედამხედველობის მიმართულებით, შეერთებული შტატების სამართლის განვითარების ისტორია ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ეს გზა საკმაოდ ეკლიანი და რთული იყო, რაც მოცემული სტატიის ფარგლებშიც კი ნათლად ჩანს. ჩვენს მიერ განხილული რამდენიმე საკითხი ჯერ კიდევ რჩება სადავო თემად ამერიკულ საზოგადოებაში. გამორიცხული არაა რომელიმე მათგანის რადიკალური კუთხით შეცვლა იმგვარად, როგორც 1956 წლის გადაწყვეტილებამ დაძლია არსებული ვერდიქტი საქმეზე „სკოტი სენდფორდის წინააღმდეგ“. ამიტომ, ამერიკულ გამოცდილებაზე დაკვირვება და მსჯელობა უაღრესად საინტერესოა, ქართულ სამართლებრივ სისტემაზე ზრუნვის პარალელურად. ამერიკულმა პრაქტიკამ მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო მასშტაბით. იმედია, ამერიკულ მოდელს ქართული სამართლებრივი და პოლიტიკური რეალობაც სამომავლოდ მნიშვნელოვნად დაუახლოვდება, განსაკუთრებით, კანონის უზენაესობისა და ვრცელი საზოგადოებრივი დისკუსიის მხრივ.

ლიტერატურა ▫ References

1. *50 Core American Documents*, Edited by Christopher Burket, Ashbrook Center, Ashland Univerrsity, 2013, p. 261.
2. Ibid. p. 262.
3. Blackstone, Sir William, *Commentaries on the Laws of England (1765-69)*, Book 4, Chapter 11, “*Of Offences Against the Public Peace*”, Sep 2011.
4. Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954).
5. Comella, Victor Ferreres, *The European Model of Constitutional Review of Legislation: Toward Decentralization*, International Journal of Constitutional Law, Vol. 2, Issue 3, 1 July 2004, p. 466.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

6. Cox, Archibald, *The Role of the Supreme Court in American Society*, Marquette Law Review, Vol. 50, Article 5, p. 579.
7. Dred Scott v. Sandford, 60 U.S. 393 (1856).
8. *The Emancipation Proclamation* [ემანსიპაციის პროკლამაცია 1863 წლის 1 იანვარს გამოსცა პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა; იხ.: https://www.archives.gov/exhibits/featured-documents/emancipation-proclamation].
9. Engel v. Vitale, 370 U.S. 421 (1962).
10. Garlicki, Lech, *Constitutional Courts versus Supreme Courts*, International Journal of Constitutional Law, Vol. 5, January 2007, p. 44.
11. Ibid. p. 45.
12. Goldsmith, Lauren Maisel, and James R. Dillon, *The Hallowed Hope: The School Prayer Cases and Social Changes*, Saint Louis University Law Journal, 2015, Vol. 59, p. 419.
13. Hall, Kermit L., James W. Ely, Jr., Joel B. Grossman, William M. Wiecek, *Oxford Companion to the Supreme Court of the United States*, Oxford University Press, 1992, p. 93.
14. Ibid. p. 582.
15. Ibid. p. 714.
16. Harris, Gardiner and Somini Sengupta, *Trump to Expand Funding Ban Tied to Abortion Overseas*, The New York Times, 15 May 2017.
17. Kizer, Benjamin H., *The Impact of Brown vs Board of Education*, Gonzaga Law Review, March 1967, Vol. 2, p. 1.
18. Krstic, Ivana, *Affirmative Action in the United States and the European Union: Comparison and Analysis*, Facta Universitatis, Law and Politics, Vol.1, p. 827.
19. Ibid. p. 828.
20. Lee v. Ashers Baking Company Ltd and others, 2008, UKSC 49, 10 Oct 2018.
21. Levy, Leonard W., Keneth L. Karst, Dennis J. Mahoney, *Civil Rights and Equality*, New York, 1989, p. 210.
22. Liptak, Adam, *U.S. Court Is Now Guiding Fewer Nations*, The New York Times, 17 September 2008.
23. MacLaury, Judson, President Kennedy's E.O. 10925: Seedbed of Affirmative Action, Federal History, 2010, p. 42.
24. Masterpiece Cakeshop Ltd. v. Colorado Civil Rights Commission, 584 U.S. (2018). საკითხს სიმწვავე არ დაუკარგავს შემდგომ პერიოდშიც. უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური დისკრიმინაციის კუთხით რასობრივი თუ ეთნიკური უმცირესობებისთვის გარკვეული უპირატესობების მინიჭება საუნივერსიტეტო თუ სხვა სივრცეებში დღემდე რჩება შეერთებული შტატების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

25. McGraw-Hill, Glencoe, *Supreme Court Case Studies*, Columbus, Ohio, 1997, p. 31.
26. Ibid. p. 57.
27. Ibid. p. 67.
28. Miller, Erin, *The Global Impact of Brown v. Board of Education*, SCOTUS blog, 18 February 2010 [იხ.: http://www.scotusblog.com].
29. Near v. Minnesota, 283 U.S. 697 (1931).
30. New York Times Co v. United States, 403 U.S 713 (1971).
31. Rabin, Yoham, and Arnon Gutfeld, *Marbury v. Madison and Its Impact on Israeli Constitutional Law*, University of Miami International and Comparative Law Review, p. 311.
32. Ibid. p. 317.
33. Regents of the University of California v. Allan Bakke, Docket No. 76-811, 12 October 1977 [იხ.: https://www.oyez.org/cases/1979/76-811].
34. Reynolds, Kim, *Gov. Reynolds releases statement on Fetal Heartbeat Lawsuit*, Office of the governor of Iowa, 18 February 2019 [https://governor.iowa.gov].
35. Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973).
36. *Roe v. Wade and the Right to Privacy*, Center for Reproductive Rights, 2001, p. 51.
37. Ibid. p.57.
38. *Roe v. Wade: It's History and Impact*, Planned Parenthood Federation of American, 18 April 2007, p. 2.
39. Tetzlaff, Thilo, *Kelsen's Concept of Constitutional Review Accord in Europe and Asia: The Grand Justice Taiwan*, National Taiwan University Law Review, Vol. 1:2, p.77.
40. Trump's 'Mexico City Policy' or 'Globale Gag Rule', Human Right Watch, 14 February 2018 [იხ.: https://www.hrw.org].
41. Waggoner, Michael D., *When the Court Took on Prayer and the Bible in Public Schools*, Religion & Politics, 25 June 2012 [სტატიაში მიმოხილულია 1962 წლის გადაწყვეტილებამდე არსებული რეალობა, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები].
42. Webster v. Reproductive Health Services, Docket No. 88-605, 26 April 1989 [იხ.: https://www.oyez.org/cases/1988/88-605]
43. Witt, Elder, *CQ's Encyclopedia of American Government*, The Supreme Court, Washington DC, 1994, p. 3.
44. Ibid. p. 5.
45. Ibid. p. 6.
46. Ibid. p. 310.
47. Ibid. p. 356.
48. აშშ-ის კონსტიტუცია, მუხლი მე-3, ნაწილი მე-2.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

49. ამერიკის შეერთებულ შტატებში აბორტის მომხრეებს უწოდებენ pro-choice, ხოლო მოწინააღმდეგეებს – pro-life.
50. ამ პოზიციას ამყარებს დამფუძნებელ მამათა უპირველეს დოკუმენტებში გამოთქმული მოსაზრებები და საკანონმდებლო აქტები. მაგალითად, 1787 წლის 13 ივლისს შეერთებული შტატების კონგრესის მიერ გამოცემული ერთ-ერთი უპირველესი ორდინანსის (განკარგულების) ტექსტში აღნიშნულია: „რელიგია, მორალი და ცოდნა აუცილებელია კარგი მმართველობისა და კაცთა ბედნიერების მისაღწევად“ [https://www.ourdocuments.gov/doc.php?flash=false&doc=8]
51. გონაშვილი ვასილ, ერემაძე ქეთევან, თევდორაშვილი გიორგი, კახიანი გიორგი, კვერენჩხილაძე გიორგი, ჭიღლაძე ნანა, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ. 445.
52. დავიდი რენე, თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი: გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2010, გვ. 288.
53. კახიანი გიორგი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 38.
54. რეიგანის სიტყვები 1980 წლის საპრეზიდენტო კანდიდატთა დებატებისას ქ. ბალტიმორში გამართულ პრაიმერიზში ჯონ ბაიარდ ანდერსონის (1922-2017) წინააღმდეგ [http://www.presidency.ucsb.edu]
55. საფრანგეთი ევროპის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კონსტიტუციური აღიარების პრინციპი მოქმედებს, რაც, ფაქტობრივად, პრევენციული კონტროლის ექსკლუზიურ უფლებას იძლევა.
56. ქნესეთი (Knesset) – ისრაელის სახელმწიფოს უმაღლესი ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი. ქნესეთი 120 პარლამენტარისგან შედგება, რომლებსაც პარტიული სიით ირჩევენ. რადგან ისრაელი საპარლამენტო რესპუბლიკაა, ქნესეთი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.
57. შვაიკარტი ლევი, დოქერტი დეივ, ალენი მაიკლ, პატრიოტთა ისტორიის მასალები, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014, გვ. 157.
58. იქვე, გვ. 229.
59. იქვე, გვ. 276.
60. იქვე, გვ. 344.
61. იქვე, გვ. 504.
62. იქვე, გვ. 505.
63. იქვე, გვ. 547.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)